ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ვასილ გველესიანს

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების

უფროსის იამზე კელენჯერიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია ბავშვის ძირითადი უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტებს დაევალათ განესაზღვრათ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. ამ მიზნით 2021 წლის 1 აპრილს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. განყოფილებას ჰყავს კოორდინატორი(განყოფილების უფროსი), სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა ეფუძვნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული დახმარების პრინციპს. ძირითადი საქმიანობა კანონით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს სოციალური მუშაკის მიერ სოციალური მუშაობის მომსახურებით ბენეფიციართან, საჭიროებიდან გამომდინარე ხდება განყოფილების სხვა სპეციალისტების ჩართულობა. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის ღონისძიებები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და ბავშვის თემებზე მომუშავე პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

განყოფილების ფუნქციებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო განყოფილებას ჰქონოდა საკუთარი პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნებოდა ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მატერიალურ მხარდაჭერაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით დავიწყე მუშაობა პროგრამის შექმნაზე და 2022 წლის 1 იანვრიდან სოციალური დაცვის სამსახურის 06 02 01 მუხლში 1.14 პუნქტად ჩაისვა განყოფილების პროგრამა ,,კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების დახმარება“ -ბიუჯეტი 10 000 ლარი(დელეგირებული თანხა).

2021-2022 წლის განმავლობაში განყოფილებამ იმუშავა 47 ოჯახთან. მათ შორის სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით 2 ოჯახი არის მეორე დონეზე, ხოლო ფსიქოლოგის ჩართულობა გამოიკვეთა 9 ბენეფიციართან. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,დაზარალებულთა სააგენტოდან ოჯახების გაძლიერების კუთხით მოხდა 7 ოჯახის გადმომისამართება. განყოფილების პროგრამით ისარგებლა 15-მა ოჯახმა.(ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტი 10 000 ლარი სრულად იქნა ათვისებული და ასევე დამატებით დაიხარჯა 455 ლარი. პროგრამის ფარგლებში 3 ოჯახთან პარალელურად მუშაობდა არასამთავრობო

ორგანიზაცია ,,იმერეთის განვითარების ცენტრი. მათ მოახდინეს ბენეფიციარების გადამზადება პროფესიული კუთხით ასევე გაუწიეს მატერიალური მხარდაჭერა.
იმისათვის რომ განყოფილების მუშაობა ყოფილიყო ნაყოფიერი, ასევე მომხდარიყო ბენეფიციარების საჭიროებების დაკმაყოფილება, მოვიძიე ორგანიზაციები რომლებიც მუშაობის პროცესში მოგვაწვდიდა დამხმარე სერვისს ოჯახების გაძლიერების კუთხით. ეს ორგანიზაციებია:
1. ორგანიზაცია ,,იმერეთის განვითარების ცენტრი“, ბენეფიციარების მატერიალური დახმარების კუთხით, განყოფილების მიმართვის საფუძველზე, საკონტაქტო პირი-თიკო ჭელიშვილი.
იგივე ორგანიზაციასთან ვმუშაობთ ერთობლივი პროგრამის ფარგლებშიც, ძირითადად პროფესიული გადამზადების კუთხით. საკონტაქტო პირები- მაია ქამუშაძე, მირანდა მანაგაძე.
აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიასა და ორგანიზაცია ,,იმერეთის განვითარების ცენტრი“-ს შორის 2020 წლის 27 მარტის მემორანდუმის შესაბამისად აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს ჩვენს განყოფილებასთან პროფესიული ზედამხედველობის ნაწილშიც. საკონტაქტო პირი-თამარ ჭუმბურიძე.
2. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება GCRT (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) საკონტაქტო პირი -თეა ფანჩულიძე, თამარ ჭუმბურიძე.
3. დღის ცენტრი ,,ცხოვრების მეგზური“ , მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი 6 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველ ბავშვებისათვის პროფესიული განათლება. საკონტაქტო პირი- რუსუდან მუმლაძე,
4. კავშირი ,,ორიონი’, 0-7 წლამდე ბავშვების ადრეული განვითარების მომსახურება, აგრეთვე 6-18 წლამდე შშმ ბავშვების მომსახურება. საკონტაქტო პირი- ჟანა ფერაძე.
5. ჰუმანიტარული კავშირი ზესტაფონის კათარზისი“ სოციალურად დაუცველი ფენის უფასო სადილით, ექიმით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა შესაძლებლობის ფარგლებში. საკონტაქტო პირი- სოფიო გორდეზიანი.
წლის განმავლობაში ბენეფიციარებმა ისარგებლეს სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარებით, მათ შორის საკვები პროდუქტებით, მეორადი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ბავშვის სათამაშოები.
ვახდენთ ბენეფიციარების ინფორმირებულობას და შესაძლებლობის ფარგლებში მათ ჩართვას სხვადასხვა მუნიციპალურ და სახელმწიფო პროგრამებში.
მომდევნო 2023 წლისთვის ბენეფიციარების საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება პროგრამაში ცვლილება. კერძოდ, პროგრამას დაემატა რამოდენიმე პუნქტი და ბიუჯეტი გაიზარდა 15 000 ლარამდე.
გთხოვთ, აღნიშნული მოხსენებითი ბარათი მიიღოთ ცნობად.

პატივისცემით,